ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება

1. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:	დასახელება	**შპს "ელექტროენერგიის პროვაიდერი"**
	ს/კ	**402 298 063**
	საბანკო რეკვიზიტები:	სს "თიბისი ბანკი": **GE95TB7915736020100003GEL** სს "საქართველოს ბანკი": **GE49BG0000000585207330GEL**
	ქოლცენტრის ნომერი	**+995 555 25 50 75**
	ელ.ფოსტა	info@electricityprovider.ge
	ვებგვერდი	https://electricityprovider.ge/
მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:	სახელი გვარი (ფიზ. პირი) ან ორგანიზაციის დასახელება *	
	პირადი N / საიდ. ნომერი *	
	აბონენტის N *	
	იურიდიული მისამართი *	
	ფაქტობრივი მისამართი *	
	ელ. ენერგიის მიწოდების მისამართი (უძრავი ქონების საკადასტრო კოდის მითითებით) *	
	უძრავი ქონების (მიწოდების მისამართი) ფლობის საფუძველი *	☐ **საკუთრება** ☐ **დროებითი მფლობელობა**
	საბანკო რეკვიზიტები	
	ტელეფონის ნომერი *	
	ელ.ფოსტა	
	მომხმარებლის კატეგორია: *	☐ **არასაყოფაცხოვრებო, მსხვილი მომხმარებელი**
ალტერნატიული საკონტაქტო პირის მონაცემები *(ივსება მხოლოდ მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში)*	სახელი გვარი/დასახელება:	
	პირადი N/ს/კ	
	მისამართი	
	ტელეფონის ნომერი	
	ელ.ფოსტა	
მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი *(თუ ის არ არის მომხმარებელი)*	სახელი გვარი/დასახელება:	
	პირადი N/ს/კ	
	მისამართი	
	ტელეფონის ნომერი	
	ელ.ფოსტა	
მიწოდების დაწყების თარიღი * :		
ხელშეკრულების მოქმედების ვადა * :	☐ მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით ☐ განსხვავებულ თარიღამდე (არანაკლებ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადით): _____	
მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, ქვითრის გაგზავნა ხორციელდება მონიშნული ფორმ(ებ)ით * :	☐ მატერიალური ფორმით (მისამართზე): _____ ☐ ელექტრონული ფორმით (მისამართზე): _____ ☐ SMS ნომერზე: _____ _____	
დანართები:	☐ პირადობის მოწმობის ასლი ☐ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ☐ უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა *(უძრავი ქონების დროებით ფლობის შემთხვევაში)*	

	☐ კომისიის 30-06-2021-ის N31/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი N5 ☐ კომისიის 30-06-2021-ის N31/2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დანართი N6

* - აუცილებლად შესავსები/მოსანიშნი ველი

2. ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების პირობები

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების პირობები (შემდგომში - მიწოდების ხელშეკრულება) შემუშავებულია „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) 2020 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში - წესები) და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

1.2. მიწოდების ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ კანონითა და წესებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

1.3. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება კანონითა და წესებით.

1.4. ბათილია მიწოდების ხელშეკრულების დებულება, რომელიც ეწინააღმდეგება კანონსა და წესებს.

2. მიწოდების ხელშეკრულების საგანი. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მიწოდების ხელშეკრულება დადებულია ელექტროენერგიის მიწოდებაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით.

2.2. მიწოდების ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს ელექტროენერგიის მიწოდება მომხმარებლის მიერ მომსახურების საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

2.3. მხარეები ვალდებული არიან, დაიცვან კანონისა და წესების მოთხოვნები.

3. მომსახურების საფასური.

3.1. მომხმარებლისათვის მომსახურების საფასურის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის თითოეულ პერიოდზე, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3.2. დარიცხვის პერიოდი წარმოადგენს დროის მონაკვეთს წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მრიცხველის ჩვენების აღებიდან მომდევნო ჩვენების აღებამდე.

3.3. ამ მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურების საფასურს მიმწოდებელი ასახავს წესების შესაბამისად შედგენილ ქვითარში.

3.4. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასური მოიცავს საბოლოო მომხმარებლის ფასს, რომელიც შედგება შესაბამისი საწარმოსთვის მიწოდების ფასის, კომისიის მიერ დადგენილი გადაცემის და განაწილების ტარიფების ჯამისაგან, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ გადასახადებს, აგრეთვე, შესაბამის შემთხვევაში, მიწოდების ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ წესებით დადგენილ სხვა გადასახდელებს.

3.5. მომხმარებელი ვალდებულია, მომსახურების საფასური გადაიხადოს ქვითარში მითითებულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს ქვითრის მომზადებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.6. მომხმარებელი ვალდებულია, გადაიხადოს მომსახურების საფასური, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მან ქვითარი.

3.7. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო წესით, ქვითარში მითითებული მომსახურების საფასურის გადახდის საშუალებით, აგრეთვე, მიმწოდებლის ვებგვერდზე მითითებული გადახდის საშუალებებით.

4. **მომხმარებლის გაფრთხილების წესი მომსახურების საფასურის გადაუხდელობის ან არასრულად გადახდის შემთხვევაში**

4.1. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ გადაიხდის მომსახურების საფასურს ქვითარში მითითებული ვადის დაცვით, მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელი გააფრთხილოს მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, გადახდის ბოლო ვადის მომდევნო დღეს და განუსაზღვროს მომსახურების საფასურის გადახდის დამატებითი ვადა, რომელიც არ უნდა იყოს გადახდის ბოლო ვადიდან 2 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

4.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს დაარიცხოს მომსახურების გადაუხდელი საფასურის 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. **მომხმარებლის მიერ წინსწრებით გადახდილი თანხა და მისი დაბრუნების წესი**

5.1. მომხმარებელს უფლება აქვს, წინსწრებით გადაიხადოს მომსახურების საფასური.

5.2. მომხმარებლის მიერ გადახდილი თანხა, რომელიც აღემატება ქვითარში მითითებულ მომსახურების საფასურს, აისახება მომხმარებლის ანგარიშზე, დადებითი ბალანსის სახით და მიმწოდებლის მიერ გათვალისწინებული იქნება მომდევნო დარიცხვის პერიოდის/პერიოდებისთვის მომსახურების საფასურის ასანაზღაურებლად.

5.3. მომხმარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ანგარიშზე დადებითი ბალანსის სახით ასახული თანხის დაბრუნება მიმწოდებლის მიერ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6. **ქვითრის შესწორება**

6.1. ქვითარში მომსახურების საფასურის არასწორად მითითების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში შეიტანოს შესწორება ქვითარში, შეცდომის გამოვლენიდან ან მომხმარებლის მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

6.2. მომხმარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ქვითარში მომსახურების საფასურის არასწორად მითითების გამო ზედმეტად გადახდილი თანხის ასახვა თავის ანგარიშზე, დადებითი ბალანსის სახით, ან მისი დაბრუნება საბანკო ანგარიშზე. მიმწოდებელი ვალდებულია, ზედმეტად გადახდილი თანხა ასახოს შესწორებულ ქვითარში ან უზრუნველყოს თანხის დაბრუნება მომხმარებლის მოთხოვნიდან ათი დღის ვადაში.

6.3. თუ ქვითრის შესწორების შედეგად მომხმარებლის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობა გაიზარდა, შესწორებულ საფასურსა და გადახდილ მომსახურების საფასურს შორის სხვაობის გადახდის ვადა აითვლება შესწორებული ქვითრის მომზადების დღიდან.

7. **დეპოზიტი**

7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს მომხმარებელს მოსთხოვოს დეპოზიტის წარდგენა შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) მომხმარებელი დროებით სარგებლობს უძრავი ქონებით ან მისი ნაწილით;

ბ) მომხმარებელმა 12-თვიანი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში სამჯერ ან მეტჯერ ვადაგადაცილებით გადაიხადა მომსახურების საფასური;

გ) მომსახურების საფასურის გადაუხდელობისათვის მომხმარებელს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა 5-თვიანი ან მეტი უწყვეტი პერიოდის განმავლობაში;

დ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის მოხმარების საშუალო თვიური ღირებულება აღემატება 50 000 ლარს, ამასთან:

დ.ა) მომხმარებელს არ გააჩნია ქონება, რომელიც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას მიმწოდებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით; ან

დ.ბ) მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქონება უფლებრივად დატვირთულია, რაც, დავის წარმოშობის შემთხვევაში, ქმნის მიმწოდებლის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ვარაუდის საფუძველს.

7.2. ამ მუხლის 7.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიმწოდებელი ქვითარში ასახავს დეპოზიტის მოთხოვნას, შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

7.3. მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმწოდებლისათვის წარდგენილი დეპოზიტი ნებისმიერ დროს შეცვალოს საბანკო გარანტიით ან საბანკო გარანტიის ნაცვლად მიმწოდებელს წარუდგინოს თანხა.

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებლის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის ანაზღაურების მიზნით არ გამოიყენოს მომხმარებლის მიერ წარდგენილი დეპოზიტი და მიმართოს სისტემის ოპერატორს მიწოდების შეწყვეტის მოთხოვნით წესების 22-ე მუხლის შესაბამისად.

7.5. დეპოზიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მომხმარებელზე ბოლო 12 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის საშუალო თვიურ ოდენობას. მიმწოდებელი ვალდებულია, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხელახლა გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა წესების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მიერ მიწოდების მომსახურების მიღების დაწყებიდან დეპოზიტის მოთხოვნამდე გასული არ არის 12 თვე, დეპოზიტის ოდენობა იმავე წესით გამოითვლება მიწოდების დაწყებიდან მიმწოდებლის მიერ დეპოზიტის მოთხოვნამდე პერიოდისთვის.

7.6. ამ მუხლის 7.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია, მომხმარებელს დეპოზიტი მოსთხოვოს მიწოდების დაწყებამდე, საშუალო თვიური მოხმარების პროგნოზის მიხედვით, არსებული დანადგარების წარმადობისა და სეზონურობის გათვალისწინებით, ან მიწოდების დაწყებიდან პირველი დარიცხვის პერიოდის გასვლის შემდეგ, დარიცხული მომსახურების საფასურის ოდენობით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიწოდების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, მიმწოდებელი უფლებამოსილია, გაიანგარიშოს დეპოზიტის ოდენობა ბოლო 6 თვის განმავლობაში დარიცხული მომსახურების საფასურის იმ თვეების რაოდენობაზე გაყოფით, რომლის განმავლობაშიც ხორციელდებოდა მოხმარება.

7.7. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის 7.1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დეპოზიტის წარდგენიდან ყოველი 12-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, განმეორებით შეაფასოს დეპოზიტის მოთხოვნის მიზანშეწონილობა და, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მომხმარებელს დაუბრუნოს წარდგენილი დეპოზიტი მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უარი თქვას მომხმარებლის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე.

7.8. მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ მიმწოდებელი ელექტროენერგიას შეისყიდის ენერგეტიკულ ბირჟაზე, მომხმარებელი ვალდებულია მიმწოდებელს ჩაურიცხოს ბირჟაზე ელექტროენერგიის შესყიდვისთვის საჭირო თანხა წინსწრებით. საჭირო თანხის მოცულობას მიმწოდებელი განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ შესაბამის საათში ან/და საათებში ან/და დღეს ან/და დღეებში შესასყიდი ელექტროენერგიის საპროგნოზო მოხმარებისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მიმწოდებლისთვის მიწოდების საფუძველზე.

8. ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა და აღდგენა

8.1. მიმწოდებელს უფლება აქვს შეუწყვიტოს მომხმარებელს ელექტროენერგიის მიწოდება მომსახურების საფასურის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებების წესებითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით შეუსრულებლობის გამო, აგრეთვე:

ა) თუ ადგილი აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორსმაჟორულ ან უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ შემთხვევას;

ბ) მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის ან მისი ვადამდე შეწყვეტის გამო;

გ) წესებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.2. მიწოდების შეწყვეტა დაუშვებელია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეებში, დასვენების დღეებში – შაბათსა და კვირას – თვითმმართველ ქალაქებში არსებული მომხმარებლის შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეებში, დასვენების დღეებში – შაბათსა და კვირას, აგრეთვე, უქმე დღისა და შაბათ-კვირის წინა დღეს – თვითმმართველი ქალაქების გარდა სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული მომხმარებლის შემთხვევაში;

გ) მომსახურების საფასურის არასრულად გადახდისას, თუ მომსახურების საფასურის სრულ ოდენობას აკლია 2 ან ნაკლები ლარი;

დ) 18:00 საათიდან 09:00 საათამდე პერიოდში;

ე) თუ მომხმარებელს დარიცხული მომსახურების საფასურის თაობაზე მიმწოდებლისთვის წარდგენილი აქვს პრეტენზია და საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული არ არის შესაბამისი გადაწყვეტილება, გარდა მიმდინარე პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევისა;

ვ) ერთ მიწოდების მისამართზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადაუხდელობის გამო – მეორე მიწოდების მისამართზე;

ზ) კომისიაში სადავო საკითხის განხილვის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მიმდინარე პერიოდზე დარიცხული მომსახურების საფასურის გადახდის პირობით;

თ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ი) წესებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

8.3. მიწოდების აღდგენა ხორციელდება:

ა) მიწოდების შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 5 საათისა;

ბ) თუ მიწოდების შეწყვეტის საფუძველი აღმოიფხვრა 16:00 საათის შემდეგ, ხოლო შაბათ-კვირას – 14:00 საათის შემდეგ, ან, მაღალმთიან დასახლებაში - 14:00 საათამდე, არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღის 12:00 საათისა.

8.4. ამ მუხლის 8.3 პუნქტის მიზნებისათვის, მიწოდების შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრა გულისხმობს მომსახურების საფასურის გადახდას ან მიმწოდებლისა და მომხმარებლის შეთანხმებას, მათ შორის, მომსახურების საფასურის ეტაპობრივად გადახდის თაობაზე.

9. ხელშეკრულების პირობების შეცვლის წესი

9.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების პირობების შეცვლის თაობაზე ინფორმაცია მომხმარებელს აცნობოს ერთი თვით ადრე, ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილება გამოწვეულია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებით, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღისა.

9.2. თუ მომხმარებელი მიწოდების ხელშეკრულების პირობების ცვლილების თაობაზე ერთი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს, ხელშეკრულება გაგრძელდება შეცვლილი პირობებით.

9.3. თუ მომხმარებელი უარს განაცხადებს შეცვლილი პირობებით ხელშეკრულების გაგრძელებაზე, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ ინფორმაციის გაგზავნიდან 1 თვის შემდეგ პირველ სამუშაო დღეს.

10. მისაწოდებელი ელექტროენერგიის ფასი

10.1. მისაწოდებელი ელექტროენერგიის ფასი და მიწოდებასთან დაკავშირებული სხვა დეტალები ასახულია მიმწოდებლის N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებაში, რომელიც წარმოდგენილია და თან ერთვის წინამდებარე მიწდების ხელშეკრულებას სპეციალური დანართის სახით;

10.2. 10.1. პუნქტით გათვალისწინებული სპეციალური დანართი წარმოადგენს წინამდებარე მიწოდების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტა. საბოლოო ანგარიშსწორება

11.1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს მიწოდების ხელშეკრულება, რის თაობაზეც აცნობებს მიმწოდებელს, ან შეიცვალოს მიმწოდებელი წესების შესაბამისად.

11.2. მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელთან საბოლოო ანგარიშსწორების მიზნით, საბოლოო დარიცხვის პერიოდისთვის მომზადებული ქვითრის მიწოდება უზრუნველყოს მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტიდან ან მისი მოქმედების ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში.

11.3. თუ მომხმარებელი წესების შესაბამისად მიწოდების ხელშეკრულებას დადებს სხვა თავისუფალ მიმწოდებელთან, იგი დაკარგავს ელექტროენერგიის მიღების უფლებას წინამდებარე მიწოდების ხელშეკრულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.

12. ფორს მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

12.2. დაუძლეველი ძალა ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და მათი ქმედებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა კონტროლი აღემატება მხარეთა შესაძლებლობას. დაუძლეველი ძალა მოიცავს შემდეგ მოვლენებს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი და ა.შ.);

ხანძარი, დივერსიები;

საომარი მოქმედებები;

სისტემური ავარია;

სხვა მოვლენები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.

12.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გამო, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს შესაბამისი გარემოების დადგომისთანავე, თუ ეს შეუძლებელი არ არის იმავე გარემოებების გამო. სხვა შემთხვევაში აღნიშნული მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის წესებით შესაბამისად მომხმარებლის მიერ მიწოდების ხელშეკრულების პირობებთან მიერთებისთანავე, ან, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტროენერგიის მიწოდების მომსახურების ავტომატურად მიღების დაწყებისთანავე და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ელექტროენერგიის მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია, მომხმარებელს აცნობოს მიწოდების ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი თვით ადრე.

13.3. თუ მიწოდების ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე მომხმარებელი არ განაცხადებს მიწოდების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ან არ დაიწყებს მიმწოდებლის შეცვლის პროცედურას, მიწოდების ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება იმავე ვადით, გარდა მიმწოდებლის ავტორიზაციის ვადით დადებული ხელშეკრულებისა, რომლის გაგრძელების წესი განისაზღვრება წესებით.

13.4. თუ მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისათვის ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდება წესებისა და კანონის შესაბამისად, ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად.

14. კორესპონდენცია და შეტყობინება

14.1. მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება ინიციატორი მხარის მიერ მეორე მხარის ამ ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნის გზით, მომხმარებლის მიერ შერჩეული ფორმით.

14.2. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს კორესპონდენციის და შეტყობინების ფორმის ცვლილება, მიმწოდებლისათვის მიმართვის გზით.

15. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. მხარეები ეცდებიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით.

15.3. მომხმარებელი უფლებამოსილია, თავისი უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს კომისიას, კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველს ან სასამართლოს.

მხარეთა რეკვიზიტები:

მომხმარებელი:

მისამართი:

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

ელ.ფოსტა:

_____

მომხმარებლის ხელმოწერა

მიმწოდებელი: შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“ (ს/ნ: 402 298 063)

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ.N6, საფოსტო ინდექსი: 0160

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +995 555 25 50 75

ელ.ფოსტა: info@electricityprovider.ge

_____

მიმწოდებლის ხელმოწერა

ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულების სპეციალური დანართი

შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“

(საჯარო შეთავაზება)

1. ინფორმაცია ჩვენ შესახებ

1.1. სტატუსი:

შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 402 298 063) წარმოადგენს ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის მიერ 2026 წლის 13 მარტს რეგისტრირებულ (კორესპონდენცია N01/247) ელექტროენერგიის თავისუფალ მიმწოდებელს.

ინფორმაცია ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს, თავისუფალ მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ: https://esco.ge/ka/chvens-shesakheb/esco-news/informatsia-sabitumo-vachrobashi-monatsiled-registratsiis-shesakheb-922-923

1.2. ინფორმაცია ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობის შესახებ:

შპს „ელექტროენერგიის მიმწოდებელი“ მიაწვდის ელექტროენერგიას დერეგულირებულ ფასად ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებს (მცირე საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლების გარდა), საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში: სემეკ) მიერ დადგენილი წესების (მათ შორის და არა მხოლოდ): სემეკ-ის 2023 წლის 13 აგვისტოს N47 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების“ (შემდგომში: საცალო ბაზრის წესები) მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საჯარო შეთავაზება:

2.1. **საჯარო შეთავაზების ნომერი:**	N2026-6-12(LC-1)
2.2. **საჯარო შეთავაზების გამოქვეყნების თარიღი**:	2026 წლის 25 მაისი
2.3. **საჯარო შეთავაზების მოქმედების ვადა**:	2026 წლის 15 ივნისი
2.4. **მიწოდების პერიოდის დასაწყისი**:	2026 წლის პირველი ივნისის 00:00 სთ
2.5. **მიწოდების პერიოდის დასასრული**:	2026 წლის 31 დეკემბერის 24:00 სთ
2.6. **მიწოდების რაოდენობა**:	კონკრეტული საცალო მომხმარებლის მიერ საკუთარი მოხმარების მიზნით შესასყიდი და მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა, კვტ.სთ

2.7. **შეთავაზების ადრესატი საცალო მომხმარებლის კატეგორია**:

მსხვილი მომხმარებელი:	სემეკ-ის ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლის კრიტერიუმებისა და სტატუსის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების მე-3 მუხლით განსაზღვრული საცალო მომხმარებელი

2.6. **გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები**:

სს „თელასი“ (ს/კ: 202 052 580)

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (ს/კ: 205 169 066)

2.7. **ელექტროენერგიის მიწოდების ფასი**: ცვალებადი ფასი, სპეციალური ფორმულით

ცვალებადი ფასის გამოთვლის სპეციალური ფორმულა:

ფასის ფორმულირება სიტყვიერად:

2026 წლის შესატყვის საანგარიშო პერიოდში, არაუმეტეს სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დადგენილი საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის ფასს, დამატებული თავისუფალი მიმწოდებლის მაქსიმუმ სამ (3) %-იანი ფას-ნამატი, დამატებული (საჭიროების შემთხვევაში) ფინანსურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები დაყვანილი თითოეულ კვტ.სთ მიწოდებულ ელექტროენერგიაზე.

ფასის ფორმულირება სტანდარტული მათემატიკური ფორმულის სახით:

$GRESP_{2026,cp} = \{EPR_{2026,cp} + [(EPR_{2026,cp} \times PMF_{2026,cp}) - EPR_{2026,cp}] + MOSF_{2026,cp} + RPP_{2026,cp} + FGC_{2026,cp} + LPC_{2026,cp}\}$, თეთრი/კვტ.სთ (დღგ-ს გარეშე)

სადაც:

„$GRESP_{2026,cp}$“, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს , როგორც ელექტროენერგიის თავისუფალი მიმწოდებლის მიერ საცალო მომხმარებლისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის ფასს;

„$EPR_{2026,cp}$“, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ფასს (თეთრი/კვტსთ), რომელიც არ აღემატება სათანადო სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მიერ დადგენილი საბალანსო ელექტროენერგიის გაყიდვის ფასს (აღნიშნული ფასის სიდიდის შემცირება შესაძლებელია კონკრეტული საცალო მომხმარებლის ინდივიდუალური რესურსული შესაძლებლობითაც და ასეთ შემთხვევაში

განისაზღვრება კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერს“ შორის შეთანხმებით);

„PMF“ = 1.03, წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს, როგორც ელექტროენერგიის თავისუფალი მიმწოდებლის მიერ კონკრეტული საცალო მომხმარებლისთვის მიწოდებულ ყოველ კვტ.სთ ელექტროენერგია-ზე მაქსიმალური ფას-ნამატის გამომსახველ კოეფიციენტს (აღნიშნული “PMF” = 1.03 მაქსიმალური მოგების მარჟის კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც რიგ შემთხვევაში შესაძლებელია შემცირდეს და განისაზღვროს კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერს“ შორის ინდივიდუალური შეთანხმებით);

<u>შენიშვნა: “$GRESP_{2026,cp}$”-ის სიდიდის გამოანგარიშების მიზნებისთვის „[($EPR_{2026,cp}$ x $PMF_{2026,cp}$)-$EPR_{2026,cp}$]“-ის უმცირესი შედეგობრივი სიდიდე შეადგენს: 0,45 თეთრს/კვტსთ-ზე.</u>

“$MOSF_{2026,cp}$”, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს მიერ ფაქტობრივად ასანაზღაურებელი სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მომსახურების საფასურს (თეთრი/კვტსთ): 0,019 თეთრი/კვტსთ;

“$RPP_{2026,cp}$”, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს მიერ ფაქტობრივად ანაზღაურებული გარანტირებული სიმძლავრის საფასური (თეთრი/კვტსთ);

“$FGC_{2026,cp}$”, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე გაწეული (ასეთი საჭიროების შემთხვევაში) ფინანსური უზრუნველყოფის კომპონენტს (თეთრი/კვტსთ), რომელიც შესაძლებელია შემცირებული იყოს თავად ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლის ინდივიდუალური რესურსული შესაძლებლობიდან გამომდინარე და განისაზღვროს კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერს“ შორის ინდივიდუალური შეთანხმებით;

“$LPC_{2026,cp}$”, 2026 წლის შესატყვის CP საანგარიშო პერიოდში წარმოადგენს შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერი“-ს მიერ ტრანზაქციის მოცულობიდან გამომდინარე გაწეული (ასეთი საჭიროების შემთხვევაში) ლიკვიდურობის უზრუნველყოფის კომპონენტს (თეთრი/კვტსთ), რომელიც შესაძლებელია შემცირებული იყოს თავად ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლის ინდივიდუალური რესურსული შესაძლებლობიდან გამომდინარე და განისაზღვროს კონკრეტულ საცალო მომხმარებელსა და შპს „ელექტროენერგიის პროვაიდერს“ შორის ინდივიდუალური შეთანხმებით;

“CP” = 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 წარმოადგენს 2026 წლის შესაბამისი კალენდარული თვის - საანგარიშო პერიოდის რიცხობრივ გამოსახულებას.

<u>შენიშვნა:</u>

<u>დადგენილი წესის მიხედვით, შესაბამისი საცალო მომხმარებელი, მის მიერ სათანადო ძაბვის საფეხურზე შესყიდული და მოხმარებული ელექტროენერგიის თითოეული კვტსთ-სთვის, დამატებით აგრეთვე აანაზღაურებს სემეკ-ის მიერ დადგენილ ელექტროენერგიის გადაცემისა და განაწილების შესატყვის ტარიფებს, მათ შორის:</u>

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი: 3,298 თეთრი/კვტსთ (დღგ-ს გარეშე) - ძაბვის ყველა საფეხურზე;

სს „თელასი“-ს ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები:

ა) 3,3-6-10 კილოვოლტი (კვ) ძაბვის საფეხურისთვის: 4,788 თეთრი/კვტსთ (დღგ-ს გარეშე);

ბ) 35-110 კილოვოლტი (კვ) ძაბვის საფეხურისთვის: 1,580 თეთრი/კვტსთ (დღგ-ს გარეშე);

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები:

ა) 3,3-6-10 კილოვოლტი (კვ) ძაბვის საფეხურისთვის: 7,441 თეთრი/კვტსთ (დღგ-ს გარეშე);

ბ) 35-110 კილოვოლტი (კვ) ძაბვის საფეხურისთვის: 3,727 თეთრი/კვტსთ (დღგ-ს გარეშე);

<u>3. ინფორმაცია ცხელი ხაზის შესახებ</u>

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს შემდეგ მობილურ ტელეფონზე: +995 555 25 50 75

<u>4. საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

ელექტრონული ფოსტის მისმართი: info@electricityprovider.ge

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ ონიაშვილის ქ.N6, საფოსტო ინდექსი: 0160

საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი: +995 555 25 50 75

<u>5. ვებ-გვერდი:</u>

https://electricityprovider.ge

6. ინფორმაცია მომხმარებლის მიერ ამ საჯარო შეთავაზების მიღებისა და შესაბამის მიწოდების ხელშეკრულებასთან მიერთების უფლების თაობაზე:

ნაბიჯი 1:

საცალო ბაზრის წესების მიხედვით:

მუხლი 8. მიწოდების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები. მომხმარებლის მიერთება მიწოდების ხელშეკრულებასთან

6. მიწოდების ხელშეკრულებასთან მიერთების მიზნით, ხელმოწერილ მიწოდების ხელშეკრულებასთან ერთად, მომხმარებელმა მიმწოდებელს უნდა წარუდგინოს:

ა) უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა ან, საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში – დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს;

ბ) საცალო ბაზრის წესების წესების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის არსებობის შემთხვევაში – მისი თანხმობა.

მუხლი 7. მიწოდების ხელშეკრულება

6. მიწოდების ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ბ) მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მათ შორის, აბონენტის ნომერს, საკონტაქტო ინფორმაციას (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ფაქტობრივი მისამართი და მიწოდების მისამართი), მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში – ალტერნატიული საკონტაქტო პირის მონაცემებს;

გ) მომსახურების საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – თუ ის არ არის ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომხმარებელი;

<u>ნაბიჯი 2:</u>

საცალო ბაზრის წესების მიხედვით:

თავი V. მიმწოდებლის შეცვლის წესები

მუხლი 38. მიმწოდებლის შეცვლის ზოგადი წესი

1. მომხმარებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეცვალოს მიმწოდებელი. მიმწოდებლის შეცვლა უფასოა.

2. მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის შეცვლის პროცედურის განხორციელებას უზრუნველყოფს ახალი მიმწოდებელი.

მუხლი 39. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი

1. მომხმარებელი, რომელსაც სურს მიმწოდებლის შეცვლა, ამ საცალო ბაზრის წესების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით მიწოდების ხელშეკრულებაზე მიერთებისას, ახალ მიმწოდებელს წარუდგენს მიმწოდებლის შეცვლის განაცხადს. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ფორმას ამტკიცებს კომისია.

2. მომხმარებელი უფლებამოსილია, მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი ახალ მიმწოდებელს წარუდგინოს მატერიალური ფორმით ან ელექტრონულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი უნდა შეიცავდეს:

ა) მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ა[1]) სისტემის ოპერატორის დასახელებას, რომლის გამანაწილებელ ქსელზეც მიერთებულია მომხმარებელი;

ბ) აბონენტის ნომერს;

გ) მიწოდების მისამართს, საკონტაქტო ინფორმაციას, მათ შორის, მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში – დამატებითი საკონტაქტო პირის მონაცემებს;

დ) მიმწოდებლის შეცვლის/ახალი მიმწოდებლის მიერ მიწოდების დაწყების სასურველ თარიღს;

ე) თანხმობას, რომ არსებულ მიმწოდებელთან და სისტემის ოპერატორთან მომხმარებლის სახელით ურთიერთობა აწარმოოს ახალმა მიმწოდებელმა.

7. მიმწოდებლის შეცვლის განაცხადი

მიმწოდებლის შეცვლის განაცხადის ფორმა გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge.

8. ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებიდან გამომდინარე

ელექტროენერგიის მიწოდების ხელშეკრულება, N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებიდან გამომდინარე გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge

9. ელექტროენერგიის მომსახურის საფასურის გადახდის საშუალებები:

N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებიდან გამომდინარე ელექტროენერგიის მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია:

ა) მიწოდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომერციული ბანკის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვის გზით;

ბ) საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სათანადო მომსახურების ფილიალიდან, დადგენილი წესის შესაბამისად, საბანკო გადმორიცხვის შესრულების გზით.

10. საინფორმაციო ბარათი:

N2026-6-12(LC-1) საჯარო შეთავაზებიდან გამომდინარე საინფორმაციო ბარათი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე: https://electricityprovider.ge.